თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა
საარჩევნო კომისია

სულ:	9 წევრი
კვორუმი:	5 წევრი
სხდომის თარიღი:	10 ოქტომბერი, 2014 წ. (18:00 სთ.)

1	ირაკლი კობახიძე (თავმჯდომარე)	
2	დემეტრე ეგნატაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე)	
3	გიორგი ამირანაშვილი (მდივანი)	
4	ინეზა გაგნიძე	
5	ნინო დურგლიშვილი	
6	ვალერიან რამიშვილი	
7	ეკატერინე ფირცხალავა	
8	ჯენარა ქრისტესაშვილი	
9	რამაზ ხომერიკი	

სხდომის მდივანი /გ. ამირანაშვილი/

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიის

სხდომის ოქმი N3

10 ოქტ., 2014 წ.

თსუ მეორე აკადემიური კორპუსი, ოთახი N245

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. ირაკლი კობახიძე (თავმჯდომარე)
2. დემეტრე ეგნატაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. გიორგი ამირანაშვილი (მდივანი)
4. ინეზა გაგნიძე
5. ნინო დურგლიშვილი
6. ვალერიან რამიშვილი
7. ეკატერინე ფირცხალავა
8. ჯენარა ქრისტესაშვილი
9. რამაზ ხომერიკი

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. <u>თსუ-ის მიერ, აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე, მონიტორინგის განხორციელების მიზნით, დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის მისაღებად, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის გაგზავნილი წერილის პასუხად შემოსული მიმართვის განხილვა და აკრედიტაციის მინიჭება</u>

მოისმინეს:

გ. ამირანაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ააიპ „საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრიდან“ შემოსული წერილი, რომელშიც შემოთავაზებული იყო დამკვირვებლის სტატუსით ხატია ლაშხიას მონაწილეობა.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

მიეცეს აკრედიტაცია ხატია ლაშხიას, არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობ თაობაზე.

2. <u>არჩევნებზე ხმის მიმცემ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ განმარტების გაკეთება</u>

მოისმინეს:

რ. ხომერიკმა სხდომაზე დააყენა საკითხი, კომისიას გაეკეთებინა დაზუსტება და განმარტება არჩევნებზე ხმის უფლების მქონე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის თაობაზე, რათა შესაბამის რეგულაციაში არსებულ ჩანაწერს ბუნდოვანება არ გამოეწვია.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ – ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–7 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიას მიაჩნია, აღნიშნული ნორმები ცალსახად ადგენენ, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც არჩეულნი არიან სტუდენტური თვითთმართველობის დელეგატებად/წევრებად და იმავდროულად, შედიან ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში; აკადემიური საბჭოს ფორმირების პროცესში სხვა სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

3. <u>თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების გამარტივება</u>

მოისმინეს:

ი. გაგნიძემ წამოაყენა წინადადება, კომისიას თხოვნით მიემართა თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსათვის, ძიების გამარტივების მიზნით, არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის თსუ–ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ადვილად ხელმისაწვდომ, მეტად თვალსაჩინო ადგილას განთავსების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

კომისიის თავმჯდომარის სახელით, ეთხოვოს თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია განთავსდეს თსუ–ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას.

4. <u>ფაკულტეტებზე ქვეკომისიების შექმნა და მათთვის სამუშაო ოთახის გამოყოფა</u>

მოისმინეს:

ი. კობახიძემ წამოაყენა წინადადება, კომისიამ თხოვნით მიმართოს თსუ-ის ფაკულტეტებს, რათა მათ უზრუნველყონ ქვეკომისიის შემადგენლობის მოწოდება და მათთვის კენჭისყრის ოთახის გამოყოფა.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ეთხოვოს თსუ-ის ფაკულტეტებს ქვეკომისიის შემადგენლობის მოწოდება და მათთვის სამუშაო ოთახის გამოყოფა.

5. <u>ქვეკომისიების შემადგენლობა და მათი სამუშაო ოთახი</u>

მოისმინეს:

ი. გაგნიძისა და ჯ. ქრისტესაშვილის წინადადებით, ფაკულტეტებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, ქვეკომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ ფაკულტეტის ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი, რათა მათ არ ჰქონდეთ ხმის მიცემის უფლება, რაც ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი შეიძლება გახდეს; ასევე, ეთხოვოთ ფაკულტეტებს, რომ ქვეკომისიისათვის გამოყოფილი სამუშაო ოთახის ფართი იძლეოდეს საშუალებას, რომ კენჭისყრის კაბინასთან 5 (ხუთი) მეტრის რადიუსში აკრძალული იყოს ნებისმიერი პირის მიახლოება.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

მიეცეთ რეკომენდაცია თსუ-ის ფაკულტეტებს, ქვეკომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ ფაკულტეტის ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი; ეთხოვოთ ფაკულტეტებს, ქვეკომისიისათვის გამოყოფილი სამუშაო ოთახის/კენჭისყრის ოთახის განლაგება ისე იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილ იყოს კენჭისყრის ფარულობა.

6. <u>შემოსული განცხადებების განხილვა 10 ოქტომბრის მდგომარეობით</u>

მოისმინეს:

დ. ეგნატაშვილმა კომისიას გააცნო კანცელარიაში შემოსული განცხადებები და წამოაყენა წინადადება, რომ მოხდეს დარეგისტრირებული კანდიდატების სიის განთავსება თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე; ასევე, თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტს ეთხოვოს, დარეგისტრირებული კანდიდატების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადასტურება.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

განთავსდეს დარეგისტრირებული კანდიდატების სია თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე; თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტს ეთხოვოს, დარეგისტრირებული კანდიდატების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადასტურება.

7. <u>თსუ-ის ადმინისტრაციისათვის არჩევნებთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე თხოვნით მიმართვა</u>

მოისმინეს:

ი. გაგნიძემ წამოაყენა წინადადება, კომისიამ მიმართოს თხოვნით თსუ-ის ადმინისტრაციას, კენჭისყრის კაბინების, სამკერდე „ბეიჯების“ დამზადების, საარჩევნო სიების მოწოდების, ქვეკომისების წევრთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებათა გატარების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ეთხოვოს თსუ-ის ადმინისტრაციას, ხმის მიცემის კაბინების, სამკერდე „ბეიჯების“ დამზადების, საარჩევნო სიების მოწოდების, ქვეკომისების წევრთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებათა გატარება.

8. კომისიის მორიგი სხდომის დროის განსაზღვრა

მოისმინეს:

ი. კობახიძემ კომისიას შესთავაზა, მორიგი სხდომის ჩატარების დროდ განსაზღვრულიყო 15 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 18:00 სთ.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის რიგით მეორე სხდომა ჩატარდეს 15 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 18:00 საათზე.

თავმჯდომარე /ი. კობახიძე/

მდივანი /გ. ამირანაშვილი/